

საბიუჯეტო პროცესში ფინანსური მენეჯმენტის გამოყენების მეთოდოლოგიური ასპექტები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- ◆ საბიუჯეტო სისტემის სრულყოფა, საბიუჯეტო ფედერალიზმის განვითარება;

- ◆ ერთიანი საფინანსო, საბიუჯეტო, საგადასახადო და სავალუტო პოლიტიკის დამუშავება და რეალიზაცია;

- ◆ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებზე ფინანსური რესურსების კონცენტრაცია;

- ◆ ცენტრალური ბიუჯეტის პროექტის დამუშავება და მისი აღსრულების უზრუნველყოფა;

- ◆ სახელმწიფო-სასესხო პროგრამების შედგენა და მათი რეალიზაცია, სახელმწიფო შიგა და საგარეო ვალდების მართვა;

- ◆ ფინანსური ბაზრების განვითარების სფეროში ერთიანი პოლიტიკის დამუშავება და რეალიზაცია;

- ◆ სახელმწიფო ფინანსური კონტროლის საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განხორციელება.

- ◆ ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობის ანგარიშგების უზრუნველყოფა.

ფინანსთა სამინისტროს უმნიშვნელოვანესი დეპარტამენტებია: საბიუჯეტო დეპარტამენტი, რომელიც ცენტრალური ბიუჯეტის პროექტს ადგენს; მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების დაფინანსების დარგობრივი დეპარტამენტები; ბუნების დაცვისა და თავდაცვითი კომპლექსის დეპარტამენტები; საკონტროლო-სარეზერვო სამმართველო, რომელსაც ადგილებზე ტერიტორიული ორგანოები აქვს.

საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე ქვეყნის ფინანსების მართვის სისტემა მოიცავს ასევე მართვის შემდეგ სპეციალურ ორგანოებს: სახელმწიფო საბაჟო კომიტეტი, საგადასახადო სამინისტრო, საგადასახადო პოლიციის სამსახური, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ცენტრალური კომისია, სპეციალური დანიშნულების ბიუჯეტგარეშე ფონდების აღმასრულებელი დირექციები (სამმართველოები). ქვეყნის ფინანსური პოლიტიკის რეალიზაციაში მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის ეროვნულ (ცენტრალურ) ბანკს ეკუთვნის.

ალეკო ქუთათელაძე

სრული პროფესორი

ირაკლი ჩხაიძე

დოქტორანტი

სწორად ჩამოყალიბებული ფინანსური პოლიტიკა და კარგად გამართული საფინანსო-საკრედიტო მექანიზმი, რომელიც აგებისა და ფუნქციონირების სისტემური მიდგომის მოთხოვნილებებს ითვალისწინებს, ფინანსების ეფექტიანად მართვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. იმისათვის, რომ დასმულმა მიზნებმა და ხერხებმა მართვის ერთიანი პროცესი შეადგინოს, პროფესიონალი მენეჯმენტი საჭირო.

თავდაპირველად ფინანსური მენეჯმენტი განიხილებოდა, როგორც კომპანიის ფინანსური მართვის ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეძენა, შერწყმა, დაფინანსება და აქტივების მართვა, ვალდებულებების და დაწესებულების საკუთარი კაპიტალის მართვა. შესაბამისად, ეს ფუნქციები დაყვანილია გადაწყვეტილებების მიღების სამ ძირითად მიმართულებებზე: აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის მართვაზე. გარდა ამისა, ფინანსური მენეჯმენტის როლი იზრდება საშუალოვადიან ბიუჯეტირებაზე გადასვლისას, რომლის ძირითადი პირობაა საბიუჯეტო ციკლის ყველა ეტაპზე საბიუჯეტო სახსრების განმეორებულად პასუხისმგებლობის ამოღება და საკონტროლო ანალიტიკური პროცედურების გამოყენება.

ფინანსური მენეჯმენტის თეორიის თანამედროვე განვითარება მიმდინარეობს საგადასახადო ფაქტორის კვლევის მიმართულებით. ვინაიდან ფინანსების მართვასთან დაკავშირებული თანამედროვე მიდგომა ითვალისწინებს მიკრო და მაკრო დონეებს, მწიფდება აუცილებლობა განისაზღვროს საგადასახადო დაგეგმარების როლი საბიუჯეტო პროცესში, რომელიც ითვალისწინებს ახალი მექანიზმებისა და მათი განხორციელების ინსტრუმენტების ფორმირებას.

თუ ფინანსური მენეჯმენტის ქვეშ იგულისხმება ფინანსური ნაკადების მართვა, მაშინ საბიუჯეტო მენეჯმენტი მთლიანობაში და ცალკეულ

ტერიტორიებზე, ჩვენი აზრით, შეიძლება დახასიათდეს როგორც ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების მართვა, ანუ საბიუჯეტო რესურსების მართვა მათი ფორმირების, განაწილების, გადანაწილებისა და აგრეთვე გამოყენების პროცესში.


ამდენად, ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით საბიუჯეტო მენეჯმენტი არის საბიუჯეტო მექანიზმების მეშვეობით ბიუჯეტების მართვის პროგრამულ-მიზნობრივი სისტემა, ამოცანების ეფექტიანი ამოხსნისა და ტერიტორიის მმართველობის ორგანოების ფუნქციების უზრუნველსაყოფად (ნახ.1).

საგადასახადო დაგეგმვის მიხედვით მეთოდოლოგიური დებულებების შემუშავებისას გასათვალისწინებელია მოცემული პროცესის არსებითი შინაარსი. მისი შესრულების დროს რეალიზებულია არამარტო ფისკალური ამოცანები, არამედ საფუძველი ედება საგადა-


სახადო რეგულირების ტაქტიკისა და სტრატეგიის ოპტიმიზაციას. ხდება ყველაზე ეფექტიანი წარმოებების და დარგების განვითარების სტიმულირება, ცალკეული ტერიტორიების, რომლებსაც აქვთ უდიდესი ფინანსური პოტენციალი. ამასთან დაკავშირებით საგადასახადო დაგეგმვა მიზანშეწონილია განვიხილოთ, როგორც საბიუჯეტო მენეჯმენტის ერთ-ერთი ბაზისური ელემენტი, როგორც საგადასახადო-საბიუჯეტო ურთიერთობის მართვის სისტემა.

საბიუჯეტო სისტემის მართვა ხორციელდება საბიუჯეტო მექანიზმის მეშვეობით და მისი ელემენტებია: საბიუჯეტო დაგეგმვა და ორგანიზაცია, საბიუჯეტო რეგულირება და კონტროლი. პირადად საბიუჯეტო მექანიზმის ელემენტების გამოყენება საშუალებას გვაძლევს გავაკეთოდ საბიუჯეტო პროცესის ორგანიზება ყველა დონის ბიუჯეტების შედგენასა და შესრულებაზე. იმისთვის, რომ საბიუჯეტო მექანიზ-

ნახ. 1. საბიუჯეტო პროცესის მართვა



ნახ. 2. საბიუჯეტო პროცესის ეტაპებზე საბიუჯეტო მენეჯმენტის ინსტრუმენტების და მიქანიზმების გამოყენება



მის ყველა ელემენტი ერთმანეთთან შეთავსებით ეფექტიანად ფუნქციონირებდეს და ოპტიმალურად ურთიერთქმედებდნენ, აუცილებელია საბიუჯეტო მექანიზმის მოძრაობაში მოყვანა, მისი მუშაობის რეგულირება. ასეთი მარეგულირებელი შეიძლება იყოს „საბიუჯეტო მენეჯმენტი“. აუცილებელია ყოველი ფუნქცია ხორციელდებოდეს ე.წ. „საბიუჯეტო მენეჯერების“ განსაზღვრული სახის ქმედებებით.

საბიუჯეტო მენეჯმენტი - ეს არა მარტო საბიუჯეტო ტექნოლოგიების სამეცნიერო-პრაქტიკული მართვაა, არამედ გარკვეულ ადამიანთა მიერ მართვის ხელოვნებაა, ჰქონდეთ ხელისუფლების სხვადასხვა დონის ქვედანაყოფების საქმიანობასა და ეკონომიკის სფეროებს შორის კოორდინირების უნარი. მოცემული მართვის სისტემა ითვალისწინებს შესაძლო ვარიანტების სიმრავლეს და მართვის გადაწყვეტილებების ნიუანსებს. მისთვის დამახასიათებელია არა დოგმატური, არამედ მრავალგვერდიანი დინამიური გადაწყვეტილების მიღება, რომლებიც იცვლება კონკრეტული პირობების შესაბამისად.

საბიუჯეტო მენეჯმენტის პროცედურების გამოყენება აუცილებელია საბიუჯეტო პროცესების ყველა სტადიაზე. საბიუჯეტო ციკლი გულისხმობს შემდეგი ეტაპების განხორციელებას: ბიუჯეტის შედგენას და დამტკიცებას, ბიუ-

ჯეტის შესრულებას, კონტროლს და ანგარიშგებას, რაც შეესაბამება მართვის ფუნქციებს (ნახ.2).

განსაკუთრებით იზრდება საბიუჯეტო მენეჯმენტის როლი ისეთი ბიუჯეტირების მექანიზმის დანერგვის პირობებში, რომელიც ორიენტირებულია შედეგებზე, რომლის მიზნების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ საბიუჯეტო გეგმების რეგულარული მონიტორინგის განხორციელებისას.

დღევანდელი მომენტისათვის დამუშავებული ფინანსების რეფორმირების მიმართულების გათვალისწინებით, ასევე რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე მათი მართვის პრობლემების გადაწყვეტიტ შესაძლებელია საბიუჯეტო მენეჯმენტის ამოცანათა სისტემის ფორმირება, რომელიც გულისხმობს ცვალებად პირობებთან მისი ელემენტების ადაპტაციას და რეგულარულ განვითარებას.

საბიუჯეტო მენეჯმენტის მოდელის დამუშავებისას უნდა გამოვყოთ რამდენიმე ასპექტი, რომლებიც საშუალებას იძლევა მივაღწიოთ დასახულ მიზანს. ესენია:

- 1) ფუნქციური ასპექტი;
- 2) ორგანიზაციული ასპექტი, რომელიც ასახავს ხელისუფლების ორგანოების მიერ ფინანსების მართვის იერარქიას და სტრუქტურას, საგადასახადო-საბიუჯეტო ურთიერთობებს

გარე სამყაროსთან.

3) ფინანსური ასპექტი, რომელიც ითვალისწინებს საბიუჯეტო პროცესში საფინანსო-ეკონომიური ურთიერთობების თავისებურებებს.

გარდა ამისა, საბიუჯეტო მენეჯმენტის შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენენ უზრუნველყოფის ქვესისტემები, რომლებიც გან-

საზღვრავენ მისი პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობას. საბიუჯეტო მენეჯმენტს ფუნქციონირება შეუძლია მხოლოდ განსაზღვრული ასპექტების არსებობის დროს. ესენია: საკანონმდებლო და მეთოდური, საკადრო, ორგანიზაციული, ინფორმაციული, ტექნიკური, პროგრამული და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ინგოროვეა ა., ცაავა გ. ფინანსური მენეჯმენტი. ტ. I. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2010, 469 გვ.

2. ჩხაიძე ი. სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები და მათი სრულყოფის პროცესი. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“. №3, 2012. გვ.35-38.

3. Боровикова Е. В. Бюджетное устройство и механизм бюджетного регулирования на уровне субъект федерации - муниципальные образования. - М.: Издательско-торговая корпорация «Дашков и К°», 2007. - 160 с.

METHODOLOGICAL ASPECTS IN USING OF FINANCIAL MANAGEMENT IN THE BUDGETING PROCESS

*ALEKO QUTATELADZE - full professor
IRAKLI CHKHAIDZE - PhD*

Necessary condition of effective management of finances is correctly formation of financial politics and well-functioning financial-credit facility, which foresees the requirements of functional systems approach. Professional management is required to get satisfied management of whole process with given aims and ways.

The modern development of financial management theory is ongoing by the direction tax factor research. Since the financial management of a modern approach foresees the micro and macro levels, brewing is needed to define tax planning role in the budgetary process, which foresees the formation of new mechanisms and instruments for their implementation.